ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №174
(გამარტივებული შესყიდვა)

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2015 წლის 30 მარტს ქ. თბილისში.

შემსყიდველი: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის ნინო მურჯიკნელის სახით.

მისამართი: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქუჩა №12, ტელეფონი 299-10-76

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, ა/ა №200122900, ს/კ 203840433

მიმწოდებელი: შპს "ბი ემ სი გორგია"

საიდენტიფიკაციო კოდი: 245621288

იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, სოხუმის ქ. №10.

ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი №140.

ხელმძღვანელი: რწმუნებული პირი გია გორგოშაძე

საბანკო რეკვიზიტები: სს "ბანკი რესპუბლიკა"; ბანკის კოდი REPLGE22; ანგარიშის № GE93BR0000010251941452.

ერთი მხრივ – **შემსყიდველი**, და მეორე მხრივ – **მიმწოდებელი**, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი" –პირი, რომელიც ახორციელებსსაქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი"–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში სამუშაო სპეტანსაცმლის შესყიდვა (CPV-18114000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა: **171,90 ლარი.**

ასსამოცდათერთმეტი ლარი და 90 თეთრი

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

3.1.1 ერთეულის ღირებულება შეადგენს 57.30 ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან და შემსყიდველის საკუთრებაში გადაცემასთან.

4. მხარეთა უფლება–მოვალეობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შემსყიდველს მიაწოდოს სამი ცალი სამუშაო სპეცკომბინიზონი.

ბ) საქონლის მიწოდება განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.

4.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) შემსყიდველს მოსთხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

4.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიწოდებული საქონელის ღირებულების ანაზღაურება.

4.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მიმწოდებლისგან მოითხოვოს საქონელის მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროსა და ადგილას;

ქ. თბილისი
30 მარტი 2015 წ.

ბ) შეამოწმოს საქონელის ხარისხი.
გ) მონიტორინგის შედეგად მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან შეწყვიტოს (არ განახორციელოს) მიმწოდებლის დაფინანსება.

5. ხარისხი

5.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს მიწოდებული საქონლის ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის შემოწმება და თუ აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) საქონელი მიმწოდებელი ვალდებულია შეცვალოს აღნიშნული საქონელი ან დაუბრუნოს შემსყიდველს მისი ღირებულება

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს მიწოდებული საქონლის ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს: სამოქალაქო ავიაციისა და საზღვაო ტრანსპორტის სფეროებში მომხდარი სატრანსპორტო შემთხვევებისა და ინციდენტების მოკვლევის ბიუროს უფროსს დავით გიუნაშვილს, რომელიც უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირება.
6.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.
6.3 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
6.4 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მხრიდან მოთხოვნილი უნაკლო საქონელის მიწოდების დადასტურებისა და ანაზღაურების მიღების მიზნით შემსყიდველს საქონელთან ერთად წარმოუდგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია. ანგარიშსწორების სავალდებულო წინაპირობა მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად არის სასაქონლო ზედნადები და ანგარიშ-ფაქტურა (თუ არ არის დღგ-ს გადამხდელი წარმოადგინოს ცნობა).
6.5 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება სამოქალაქო ავიაციისა და საზღვაო ტრანსპორტის სფეროებში მომხდარი სატრანსპორტო შემთხვევებისა და ინციდენტების მოკვლევის ბიუროს უფროსს დავით გიუნაშვილს.

7. ანგარიშსწორების წესი

7.1 საქონლის მიწოდების ანაზღაურება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 6.4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში.
7.2 ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი;
7.3 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.

8. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

8.1 საქონლის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი №140.
8.2 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან **2015 წლის 03 აპრილის ჩათვლით.**

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2015 წლის 04 მაისის ჩათვლით.**

10. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

10.1 მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულებისათვის ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
10.2 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.
10.3 მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

30 3

10.4 არაჯეროვნად შესრულებას წარმოადგენს უხარისხო საქონელის მიწოდება. ამასთან, არაჯეროვნად გაწეულად მიიჩნევა ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობა, რომელიც ნაკისრი აქვს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით, გარდა 10.5. პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

10.5 მიმწოდებლის მიერ დაგვიანებით შესრულებას წარმოადგენს საქონელის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადის დარღვევა, რისთვისაც შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

10.6 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.7 სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს–მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული მხარეთა ნების გამოვლენასთან, შეცდომებსა და დაუდევრობასთან და გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი ან/და გამოწვეულია დაუძლეველი ძალის დადგომით, ამასთან აღნიშნული გარემოება მხარეთა მიერ შესაძლოა განხილულ იქნას როგორც ფორს–მაჟორი მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული გარემოებების დადგომა უშუალოდ უშლის ხელს მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულებას.

11.3 ხელშეკრულების მიზნებისათის „ფორს–მაჟორად" მიჩნეული შეიძლება იყოს საომარი ან საგანგებო მდგომარეობა, სტიქიური უბედურება, ეპიდემია, კარანტინი, საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებული მორატორიუმი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება და სხვა.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების გზით და ურთიერთშეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ირგვლივ.

12.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს დავის გადაწყვეტის მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

13. სხვა პირობები

13.1 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით და წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

13.2 ხელშეკრულების მოქმედება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ერთი ეგზემპლარი შემსყიდველს).

14. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველის მხრიდან	მიმწოდებლის მხრიდან
საფინანსო, სახელმწიფო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი ნინო მურჯიკნელი	**შპს "ბი ემ სი გორგია" რწმუნებული პირი გია გორგოშაძე**

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

32029639515013

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N130436636

რეგისტრაციის თარიღი

02.05.2013 წ

ნოტარიუსი: ხათუნა კალანდარიშვილი
მისამართი: ქ.ბათუმი, ნოე ჟორდანიას ქუჩა #12
ტელეფონი: 27-73-43

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორი ათას ცამეტი წლის ორ მაისს, მე, ნოტარიუსს ხათუნა კალანდარიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. ბათუმი, ნოე ჟორდანიას ქ#21-ში, მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა ბატონმა ხვიჩა პაპუნიძემ (დაბ. 31.03.1971წ. პ# 61006011559, მცხ. ბათუმი ანგისას დას.) მან განაცხადა, რომ: ა) არის შპს " ბი ემ სი გორგია" (რეგისტრირებული 14/07/2008 წ. საიდენტიფიკაციო კოდი:245621288 , იურიდიული მისამართი: საქართველო, ბათუმი, სოხუმის ქ.№10) დირექტორი და მოქმედებს მისი სახელით, ბ) მის მიერ წარმოდგენილ საზოგადოებას ამ რწმუნებულებით სურს უფლებამოსილება მიანიჭოს გია გორგოშაძეს (დაბ. 29.12.1970წ. პ# 61003000277) რისთვისაც მოითხოვა, შესაბამისი სანოტარო აქტის შედგენა და მისი მიღება (დამოწმება სანოტარო წესით) ჩემს მიერ. მე შევამოწმე მისი უფლებამოსილება შემდეგი დოკუმენტებით:

1) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს " ბი ემ სი გორგია" შესახებ (მომზადებული 14/02/2013 წ)

2) შპს " ბი ემ სი გორგია" -ს წესდება (ასლი ინახება ჩემს სანოტარო არქივში)

მარწმუნებლის ნების გამოვლენის ნამდვილობისა და გარიგების შინაარსის დადგენის შემდეგ შედგა შემდეგი აქტი:

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

ორი ათას ცამეტი წლის ორ მაისს, შპს " ბი ემ სი გორგია" (რეგისტრირებული 14/07/2008 წ. საიდენტიფიკაციო კოდი:245621288 , იურიდიული მისამართი: საქართველო, ბათუმი, სოხუმის ქ.№10) რომელსაც წარმოადგენს მისი დირექტორი, ხვიჩა პაპუნიძე (დაბ. 31.03.1971წ. პ# 61006011559, მცხ. ბათუმი ანგისას დას.) შემდგომში წოდებული როგორც მარწმუნებელი, გია გორგოშაძეს (დაბ. 29.12.1970წ. პ# 61003000277) რომელიც შემდგომში მოხსენიებულია როგორც "რწმუნებული პირი",მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

ა) მარწმუნებლის კომერციული საქმიანობის ფარგლებში, მარწმუნებლის სახელით: გაყიდოს მარწმუნებლის უძრავ-მოძრავი ქონება და ამ მიზნით დადოს უძრავ–მოძრავი ქონების ნასყიდობის გენერალური და/ან ერთჯერადი ნასყიდობის ხელშეკრულებები, მარწმუნებლის კონტრაგენტებთან დადოს იჯარის, სესხის/ვალდებულებების აღიარების ხელშეკრულებები, იპოთეკის/გირავნობის (ვალდებულებათა უზრუნველყოფის სხვა სახის) ხელშეკრულებები, აგრეთვე სხვა ხელშეკრულებები, რაც გამომდინარეობს მარწმუნებლისა და მისი კონტრაგენტების სამართლებრივი ურთიერთობიდან, დამოუკიდებლად განსაზღვროს ყველა ამ გარიგების დადებისას მისი პირობები, ფასი, თანხა, ვადა და სხვა.

ბ) უზრუნველყოს მარწმუნებლის უფლებებისა და ვალდებულებების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში (იპოთეკის/გირავნობის რეგისტრაცია და სხვა...).

გ) შეასრულოს სხვა მოქმედება, რაც არ არის მითითებული პირდაპირ, მაგრამ გამომდინარეობს წინა ქვეპუნქტებში მითითებული უფლებამოსილებიდან და რაც აუცილებელი გახდება მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

დ) ამ მუხლის წინა პუნქტში მითითებული უფლებამოსილების განასახორციელებლად რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო

მოქმედება, მათ შორის:

– წარმოადგინოს მარწმუნებელი ნებისმიერ მესამე პირთან, საჯარო რეესტრთან, ნოტარიუსთან და სხვა პირებთან;

– მარწმუნებლის სახელით დადოს ზემოთ მითითებული გარიგებები და განსაზღვროს მათი შინაარსი, უზრუნველყოს მარწმუნებლის უფლებების და ვალდებულებების რეგისტრაცია ნებისმიერ მარეგისტრირებელ ორგანოში;

ე) ხელი მოაწეროს ყველა იმ დოკუმენტს, რაც აუცილებელი იქნება მინიჭებული უფლებამოსილების განასახორციელებლად; შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა ის პროცედურა და მოქმედება, რაც აუცილებელია ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული უფლებამოსილების განასახორციელებლად;

რწმუნებული წინამდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილებას ახორციელებს პირადად.

რწმუნებულს აქვს უფლება, წინამდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილებანი სრულად, ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს.

რწმუნებული ვალდებულია:

ა) შეასრულოს მარწმუნებლის წესდებით დადგენილი ნორმები და მმართველი ორგანოების მიღებული გადაწყვეტილებები;

ბ) მარწმუნებელს მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ნებისმიერი მოქმედების შესახებ;

გ) უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ მარწმუნებელს გონივრულ ვადაში ჩააბაროს სრული ანგარიში.

რწმუნებულს ეკრძალება იმ ინფორმაციის გახმაურება, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა უფლებამოსილების განხორციელებების პროცესში, თუ:

ა) მარწმუნებელს აქვს ინფორმაციის გაუხმაურებლობის კანონიერი ინტერესი.

ბ) კანონი არ ადგენს ინფორმაციის გახმაურების ვალდებულებას. ეს ვალდებულებები ძალმოსილია უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც.

წინამდებარე აქტი ძალმოსილებას იძენს სანოტარო წესით დამოწმებისთანავე და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით. წინამდებარე რწმუნებულება შედგენილია 3 ეგზემპლარად.

აღნიშნული მე, ნოტარიუსმა ხათუნა კალანდარიშვილმა ხმამაღლა წავუკითხე მხარეს და მან მკაფიოდ და ნათლად დაადასტურა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად ძოაწერა ხელი. მე ნოტარიუსი დანართად ვურთავ წინამდებარე რწმუნებულებას:

1) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს "ბი ემ სი გორგია" შესახებ (მომზადებული 14/02/2013 წ)

2) შპს "ბი ემ სი გორგია" -ს წესდება (ასლი ინახება ჩემს სანოტარო არქივში)

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური 10.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა, "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" (29 დეკემბერი, 2011 წელი, დადგენილება №507) 31 მუხლის და, აგრეთვე დღგ თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე

მუხლისა 1.80 ლარი, ასევე რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი, თანახმად ამავე დადგენილებ
39–ე მუხლისა.

ნოტარიუსი: _____ კალანდარიშვილი

ნოტარიუსი ხოსროშვილი ხათუნა ალექსანდრეს ასული
GRUZINK NOTARIUS KHATUNA KALANDARISHVILI
SERIA NOTARY KHATUNA KALANDARISHVILI
61001014087



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N130464262
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	14.05.2013 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის ასლის დამოწმება
ნოტარიუსი	ქეთევან გამისონია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, წერეთლის 142
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	35-74-94; 899-93-21-11
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	09934144815113

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

2013 წლის 14 მაისს
[illegible] ქ. თბილისი,
[illegible] 353. [illegible] 49. [illegible] 25
[illegible] № 13043666
[illegible]
200